SEPTEMBER 9 12:00

პინკას ცუკერმანი – ვიოლინო
საიაკა შოჯი – ვიოლინო
ორი კამი – ალტი
გიორგი მარდალეიშვილი – ალტი
დანიელ ბლენდალფი – ჩელო
კიან სოლტანი – ჩელო

იოჰანეს ბრამსი (1833–1897)
სიმებიანი სექსტეტი No. 1 სი ბემოლ მაჟორი, თხზ. 18
Allegro ma non troppo
Andante ma moderato
Scherzo. Allegro molto
Rondo. Poco Allegretto e grazioso

იოჰანეს ბრამსი (1833–1897)
სიმებიანი სექსტეტი No. 2 სოლ მაჟორი, თხზ. 36
Allegro non troppo
Scherzo. Allegro non troppo – Presto giocoso
Poco Adagio
Poco Allegro

Pinchas Zukerman – Violin

Sayaka Shoji – Violin
Ori Kam – Viola
Giorgi Mardaleishvili – Viola
Daniel Blendulf – Cello
Kian Soltani – Cello

Johannes Brahms (1833–1897)
String Sextet No. 1 in B-flat Major, Op. 18
Allegro ma non troppo
Andante ma moderato
Scherzo. Allegro molto
Rondo. Poco Allegretto e grazioso

Johannes Brahms (1833–1897)
String Sextet No. 2 in G Major, Op. 36
Allegro non troppo
Scherzo. Allegro non troppo – Presto giocoso
Poco Adagio
Poco Allegro

პროგრამის შესახებ
ტექსტის ავტორი ნინო ჭვანია

იოჰანეს ბრამსი – სიმებიანი სექსტეტი No. 1 სი ბემოლ მაჟორი, თხზ. 18
ბრამსმა პირველი სიმებიანი სექსტეტი 1859–1860 წლებში შექმნა. პირველი შესრულება 1860 წლის 20 ოქტომბერს პანოვერში შედგა; შემსრულებელთა შორის იყო იოზეფ იოახიმიც — ბრამსის უახლოესი მეგობარი და შემოქმედებითი პარტნიორი. სექსტეტი მალევე გამომცემლობა Simrock-მა გამოსცა. ამ ისტორიას ლირა შემპნიან დაკავშირებული პირადი ეპიზოდიც ახლავს: ლირას განსაკუთრებით მოეწონა მეორე ნაწილი, Andante ma moderato, და ბრამსს მისი ფორტეპიანოსთვის გადამუშავება სთხოვა. კომპოზიტორმა ტრანსკრიფცია 1860 წლის 13 სექტემბრისთვის დაასრულა და ლირას 41-ე დაბადების დღის საჩუქრად გადასცა. ეს საფორტეპიანო ვერსია დამოუკიდებლად, სათაურით „თემა და ვარიაციები“, თხზ. 18b, მხოლოდ 1927 წელს, ბრამსის გარდაცვალების შემდეგ გამოიცა.“

იოჰანეს ბრამსი – სიმებიანი სექსტეტი No. 2 სოლ მაჟორი, თხზ. 36
მეორე სექსტეტი ბრამსმა 1864–1865 წლებში დაწერა. მასთან დაკავშირებულია კომპოზიტორის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პირადი „კოდი“. რამდენიმე წლით ადრე ბრამსს სერიოზული რომანტიკული ურთიერთობა ჰქონდა კეტინგენელ მოხელესთან ათატ ფონ ზიბოლდთან. ერთიერთობა ქორწინებით არ დასრულებულა, თუმცა ათატს სახელი პირველ ნაწილში ნოტების A–G–A–H–E თანმიმდევრობით არის დაშიფული — ეს „Agathe“-ს მუსიკალური ასოებით დაწერის მაქსიმალურად მიახლოებული ფორმაა, რადგან ასო T-ს ნოტური შესაბამისი არ გააჩნია. ამგვარი ავტობიოგრაფიული მინიშნება იშვიათია ბრამსის შემოქმედებაში. საინტერესოა ნაწარმოების პირველი შესრულების ისტორიაც: სექსტეტის პრემიერა არა გერმანიაში ან ავსტრიაში, არამედ 1866 წლის 11 ოქტომბერს ბოსტონში, მენდელსონის კვინტეტის კლუბის კონცერტზე გაიმართა; ვეროპაში იგი იმავე წლის ნოემბერში, ციურიხში შესრულდა. კიდევ ერთი საინტერესო დეტალი - სრულიად განსხვავებული გზებით, ბრამსის ორივე სიმებიანი სექსტეტი მის ცხოვრებაში განსაკუთრებული პირადი მნიშვნელობის მქონე ქალებს დაუკავშირდა.

ამ დროს საქართველოში...
1864 წელი, როდესაც ბრამსი მეორე სექსტეტზე მუშაობდა, საქართველოს ისტორიაში გარდამტეხი აღმოჩნდა: თბილისის გუბერნიაში ბატონყმობა გაუქმდა და გლეხებმა პირადი თავისუფლება მიიღეს. 1865 წელს ნეფორმა ქუთაისის გუბერნიაზეც გავრცელდა, მოგვიანებით კი საქართველოს სხვა რეგიონებზე. ამ ცვლილებამ ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური წყობა საფუძვლიანად შეცვალა. ამგვარად, იმ წლებში, როდესაც ბრამსი თავის მეორე სექსტეტში პირად წარსულს მუსიკალურ ნიშნად ინახავდა, საქართველო ძველი სოციალური წყობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს ემშვიდობებოდა.

Programme Notes
Notes by Nino Jvania

Johannes Brahms – String Sextet No. 1
in B-flat Major, Op. 18
Brahms composed his First String Sextet in 1859–60. Its first performance took place in Hanover on 20 October 1860; among the players was Joseph Joachim, Brahms's close friend and artistic collaborator. The Sextet was published soon afterwards by Simrock. Its history also contains a personal episode involving Clara Schumann. Clara was especially taken with the second movement, Andante ma moderato, and asked Brahms to arrange it for piano. He completed the transcription in time for her forty-first birthday on 13 September 1860 and presented it to her as a birthday gift. The piano version was eventually published independently as Theme and Variations, Op. 18b, in 1927, thirty years after Brahms's death.

Johannes Brahms – String Sextet No. 2 in G Major, Op. 36
Brahms wrote his Second Sextet in 1864–65. The work contains one of the best-known personal "codes" in his music. A few years earlier, Brahms had had a serious romantic relationship with the Göttingen singer Agathe von Siebold. The relationship did not lead to marriage, but her name is encoded in the first movement through the sequence A–G–A–H–E — as close as musical notation allows to spelling 'Agathe', since the letter T has no note-name equivalent. Such an explicitly autobiographical gesture is unusual in Brahms's music. The performance history is equally intriguing: the Sextet received its first documented performance not in Germany or Austria but in Boston, on 11 October 1866, at a concert of the Mendelssohn Quintet Club; a European performance followed in Zurich the next month. Interestingly enough, in very different ways, both of Brahms's string sextets became linked to women who held an intimate place in his life.

Meanwhile in Georgia...
The year 1864, when Brahms was working on his Second Sextet, was a turning point in Georgia's social history: serfdom was abolished in the Tiflis Governorate, and peasants received personal freedom. The reform did not take effect across Georgia all at once — it was extended to the Kutaisi Governorate in 1865 and later to Samegrelo, Abkhazia and Svaneti. The change profoundly altered the country's social and economic order and became one of the defining transformations of Georgian public life in the second half of the nineteenth century. Thus, while Brahms was preserving a private memory in the musical code of his Second Sextet, Georgia was beginning to leave behind one of the central institutions of its old social order.